



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 298
02/02/2018

ქალაქი ბათუმი

298-05-4-201802021511



სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე მსაჯთა კოლეგიის დაფინანსების შესახებ

2018 წლის 09-17 თებერვალს ტარდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადა საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, რაც გულისხმობს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდების ჩართულობას სპორტულ თამაშებში. აღნიშნული პროგრამა მოიცავს სპორტის სხვადასხვა სახეობებს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი მიიღებს მონაწილეობას მხოლოდ სამ სახეობაში: მინი ფეხბურთი (ვაჟები), მაგიდის ჩოგბურთი (ვაჟები) და ხელბურთი (ვაჟები) 2002-2004 წწ დაბადებულთა შორის.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის დაფინანსების მიზნით „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2018 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული, სტუდენტური და ახალგაზრდული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №79 განკარგულებით დამტკიცებული დანართი №2, „თვითმმართველი ერთეულის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებისა და წესის განსაზღვრის შესახებ“- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 18 იანვრის №2 განკარგულებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ე ქვეპუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ**:

1. სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე მსაჯთა კოლეგიის დასაფინანსებლად გამოიყოს **270** (ორასსამოცდაათი) ლარი, დანართი №1-ის შესაბამისად.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ.ნაკაშიძე) უზრუნველყოს გამოყოფილი მიზნობრივი თანხების დაფინანსება.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელვაჩაურის სასპორტო სკოლას (გ. ჩხაიძე) და მთავარ მსაჯებს (იხ დანართი №1) უზრუნველყონ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული დოკუმენტაციის დროულად წარმოდგენა.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

